პროექტის - ,,**კრიმინალისტიკური ტექნიკა თეორიასა და პრაქტიკაში**“ ანგარიში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე არსებული სასწავლო კრიმინალისტიკის ლაბორატორიისა და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ერთობლივი შეთანხმებით 2019 წლის 15 მარტს დაიწყო პროექტი ,,**კრიმინალისტიკური ტექნიკა თეორიასა და პრაქტიკაში**“.

აღნიშნული პროექტი განხორციელდა ორი მიმართულებით – აკადემიური (საგანმანათლებო) და პრაქტიკული, რაც პროექტის მოთხოვნიდან გამომდინარე გულისხმობდა პირველ ეტაპზე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კვალიფიციური პრაქტიკოს ექსპერტ-კრიმინალისტების მიერ კრიმინალისტიკური ტექნიკის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების თეორიული საკითხების შესწავლას, როგორებიცაა: დაქტილოსკოპია, ტრასოლოგია, ბალისტიკა, დოკუმენტებისა და ხელწერის კრიმინალისტიკური გამოკვლევა, ჰაბიტოსკოპია, ფონოსკოპია, ბიოლოგიორი, ნარკოლოგიური და სამედიცინო ექპერტიზები, ხოლო მეორე ეტაპი განხორციელდა თეორიული კურსის დასრულების შემდგომ და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში არსებულ ლაბორატორიებში სტუდენტებმა თეორიული საკითხების ადეკვატურად შეიძინეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

1. 2019 წლის 15 მარტს პირველი შეხვედრა გაიმართა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე არსებული სასწავლო კრიმინალისტიკის ლაბორატორიში, სადაც მონაწილეებს დაქტილოსკოპიის თეორიული საკითხების შესახებ ლექცია ჩაუტარა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტმა ქალბატონ ქეთი გოგაშვილმა. მონაწილეებმა შეისწავლეს შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას თითის ანაბეჭდის მოპოვების (ფიქსაციის) მექანიკური და ქიმური მეთოდები (ტაქტიკური ხერხები). მიიღეს ინფორმაცია თითის ანაბეჭდის მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციის, დაქტილოსკოპირებისა და რეგისტრაციის (მონაცემთა ბაზის) თავისებურებების შესახებ, გაიაზრეს ამა თუ იმ სამართლებრივ საქმესთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა მოახდინონ კითხვის სრულყოფილად ფორმულირება და ექსპერტიზაზე მასალების (ნიმუშების) მარტებულად წარდგენა. მორიგი შეხვედრა გაიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში არსებულ ლაბორატორიაში, სადაც ექსპერტმა მონაწილეებს მოდერნიზებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, თეორიული საკითხის შესაბამისად პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით ჩაუტარა მეცადინოებები და ასევე გააცნო დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის (კვლევის) სპეციფიკას.

2. პროექტის – ,,კრიმინალისტიკური ტექნიკა თეორიასა და პრაქტიკაში" – ფარგლებში სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტთან არსებულ კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში მონაწილეებმა პირველ ეტაპზე მოისმინეს ტრასოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტის, თამარ შოშიტაშვილის თეორიული კურსი ტრასლოგიაში. კერძოდ, სტუდენტებმა შეისწავლეს, თუ როგორ შეძლონ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ობიექტებზე დატოვებული კვლების (დაზიანებების) დათვალიერება, ფოტოგადაღება და მტკიცებულების მომზადება ექსპერტიზაზე წარსადგენად. შემდგომი შეხვედრა გაიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სადაც მონაწილეებმა თეორიული კურსის მოსმენის შესაბამისად პრაქტიკულად მიიღეს მონაწილეობა საკვლევ ობიექტზე არსებული კვლების გამოვლენაში, გაანალიზებასა და დათვალიერებაში როგორც მიკროსკოპის ირიბი და პირდაპირი განათებისას, ასევე ,,foster+freman Crime-lite ML2“-ის დანადგარით ულტრაიისფერი თუ სპექტრის სხვადასხვა სხივების ნათების ქვეშ. ასევე, შეიძინეს უნარი ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასასმელი საკითხები ჩამოაყალიბონ ისე გასაგებად და სრულყოფილად, რომ იგი არ სცდებოდეს ექსპერტ-ტრასოლოგის კომპეტენციას.







3. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტთან არსებულ კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში პროექტის ფარგლებში მორიგი ლექცია ჩაატარა სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს უფროსმა დავით

გველესიანმა. მონაწილეებმა შეისწავლეს ავტო-საგზაო შემთხვევისას დათვალირების ოქმის შედგენისა და შებამისი ნახაზის (სქემის) აგების თეორიული საკითხები და ტაქტიკური ხერხები. ასევე, სატრასპორტო შეჯახებისას ტრასოლოგიური მექანიზმისა და ბრალეულობის განსაზვღრის საკითხები. შემდგომი შეხვედრა გაიმართა საველე პირობებში, მოხდა იმიტირებული შემთხვევის ადგილის შექმნა, სადაც სტუდენტებმა პრაქტიკულად განახორციელეს პირველი ეტაპისათვის განსაზღვრული თეორიული საკითხების ადეკავტურად საპროცესო კანონმდებლობითა და სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური მეთოდიკით რეგლამენტირებული წესები.



4. მორიგი ლექცია ჩაატარა სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტმა ბატონმა რეზო გელაშვილმა და პროექტის მონაწილეებმა შეისწავლეს: შემთხვევის ადგილის

დათვალიერებისა და ხანძრის კერის დადგენის ძირითადი წესები; ხანძრის მიზეზების განსაზღვრისა და საგამოძიებო ვერსიების აგების პრაქტიკული ასპექტები; გამოკითხვის ჩატარებისა (შესაბამისი კითხვარის) და ექსპერტიზის წინაშე გადასწყვეტად დასასმელი საკითხების განსაზღვრის ძირითადი პრინციპები.

5. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტთან არსებულ კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში მონაწილეებმა პირველ ეტაპზე მოისმინეს

ბალისტიკური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტის, ნათელა მძელურის თეორიული კურსი ბალისტიკაში. კერძოდ, სტუდენტებმა შეისწავლეს, თუ როგორ შეძლონ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას აღმოჩენილი ტყვიის, მასრის მიხედვით ცეცხლსასროლი იარაღის იდენტიფიკაცია, ობიექტებზე დატოვებული კვლების (დაზიანებების) დათვალიერება, სროლის მანძილისა და მიმართულების განსაზღვრა. შემდგომი შეხვედრა გაიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სადაც მონაწილეებმა თეორიული კურსის მოსმენის შესაბამისად პრაქტიკულად მიიღეს მონაწილეობა მოდერნიზებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ექსპერიმენტალურად განხორციელებული გასროლილი ტყვიის მიხედვით (ზოგადი და კერძო ნიშნების გათვალისწინებით) იდენტიფიკაციის პროცესში. ასევე, შეიძინეს უნარი ბალისტიკური ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასასმელი საკითხების ზუსტად განსაზღვრაში და კითხვების სრულყოფილად ფორმულირებაში.





6. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსმა ნინო ყოჩიაშვილმა მონაწილეებმა გაიარეს თეორიული და პრაქტიკული კურსი გენეტიკურ (დნმ) ექსპერტიზასთან დაკავშირებით. პროექტის მონაწილეებმა შეისწავლეს: შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გენეტიკური (დნმ) ექსპერტიზისათვის ნივთმტკიცების მართებულად მოპოვების, ფიქსაციის, შენახვისა და საექსპერტო დაწესებულებაში სწორად მიტანის ხერხები და მეთოდები. ასევე, დაეუფლნენ ცოდნას და შეიმუშავეს უნარი დადგენილების სწორად გამოტანასა და გენეტიკური (დნმ) ექსპერტიზის წინაშე დასასმელი კითხვების ჩამოყალიბებაში. ვინაიდან გენეტიკური(დნმ) ექსპერტიზა ძვირადღირებული ექსპერტიზის სახეობაა, მონაწილეებმა შეისწავლეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების გამოკვეთის ხერხები და მათი სწორად შერჩევა საექსპერტო კვლევაზე წარსადგენად.

7. პროექტის - ,,კრიმინალისტიკური ტექნიკა თეორიასა და პრაქტიკაში" – ფარგლებში მორიგი შეხვედრა გაიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტმა, ქალბატონმა თინათინ მგელაძემ მონაწილეებს ჩაუატარა თეორიული და პრაქტიკული კურსი საფეიქრო ბოჭკოების, მიკრონაწილაკების ექსპერტიზასთან დაკავშირებულ საკითხებთან. პროექტის მონაწილეებმა შეისწავლეს

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას მიკრონაწილაკების მოპოვების, ფიქსაციისა (სპეციალური ფირების მეშვეობით) და ადგილზე სწორად მიტანის ხერხები და მეთოდები. ასევე, დაეუფლნენ ცოდნას კომლექსური ექსპერტიზის დანიშვნისას მიკრონაწილაკების კრიმინალისტიკური ექსპერტიზის უპირატესობის, მისი მნიშვნელობის გააზრებისა თუ შესაბამისი დადგენილების სწორად გამოტანისა და გადასაწყვეტი საკითხების ზუსტად ფორმულირების შესახებ.

8. პროექტის შებამისად სტუდენტებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ნარკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებასა და დანიშვნისთან დაკავშირებით, კერძოდ: შეიძინეს თეორიული ცოდნა, თუ როგორ გამოკვეთონ საქმისთვის არსებითი მნიშნელობის მქონე საკითხები და შეძლონ კითხვის ზუსტად ფორმულირება. შეისწავლეს საკვლევი ბიოლოგიური ნიმუშის აღებისა და შენახვისათვის გასათვალისწინებელი საკითხები, რომელთა დეტალური შესრულების შემთხვევაში გამოირიცხება ნიმუშის აღება-შენახვისას დაშვებული ტექნიკური სახის შეცდომა. გაიაზრეს ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარებისა და ზემოქმედების დადგენის მიზნით გამოსაკვლევი პირისაგან რომელი საკვლევი ბიოლოგიური ნიმუშის აღება არის უმჯობესი და რა დროს ენიჭება უპირატესობა პირის ექსპერტიზაზე წარდგენას ექსპერტ-ნარკოლოგის მიერ კლინიკური სურათის დასადგენად და შესაფასებლად. აგრეთვე გაიმართა ერთობლივი მსჯელობა-დისკუსია ქვეყანაში არსებული ნარკოლოგიური მდგომარეობის, საკანონმდებლო ბაზის შეფასების, გამომწვევი მიზეზების ანალიზისა და პრევენციული ღონისძიებების დანერგვის შესახებ.

9. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ვიდეო ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის სამმართველოს უფროსმა, ბატონმა ლაშა ამბროლაძემ მონაწილეებს ჩაუატარა თეორიული და პრაქტიკული კურსი ვიდეო- და ჰაბიტოსკოპიურ ექსპერტიზასთან დაკავშირებულ საკითხებთან. მონაწილეები გაეცნენ ფიზიკური პირის ჰაბიტოსკოპიური იდენტიფიკაციის ძირითად მეთოდებსა და სხვადასახვა პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელთა მეშვეობითაცაა შესაძლებელი ფოტოზე ასახული

პირის მონაცემთა ბაზაში ძებნა. ასევე გაიაზრეს ვიდეოგამოსახულებების კვლევის არსი და ავტოავარიების შემთხვევაში ვიდეოექსპერტიზის ჩართვის სპეციფიკა. დაეუფლნენ ცოდნას კომლექსური ექსპერტიზის დანიშვნისას ვიდეო- და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის მნიშვნელობისა თუ გადასაწყვეტი საკითხების ზუსტად ფორმულირების შესახებ. აგრეთვე გაიმართა დისკუსია ქვეყანაში არსებულ საკანომდებლო გამოწვევებზე, კერძოდ, ,,ნაკლებად მძიმე დანაშაულის გამოძიებისას ვიდეოგამოსახულების ამოღების აკრძალვა", ან როგორი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია შემთხვევის ადგილთან განთავსებული სათვალთვალო სისტემებით დაფიქსირებული ვიდეოჩანაწერი, რომელზეც დანაშაულის ფაქტია დაფიქსირებული.



10. პროექტის – ,,კრიმინალისტიკური ტექნიკა თეორიასა და პრაქტიკაში" – ფარგლებში ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზების სამმართველოს ექსპერტმა, ქალბატონმა ასმათ მატუშევსკაიამ მონაწილეებს ჩაუატარა თეორიული და პრაქტიკული კურსი ვიდეო და ფონოსკოპიურ ექსპერტიზებთან დაკავშირებულ საკითხებზე. პირველ ეტაპზე მონაწილეები გაეცნენ აუდიო- და ვიდეოჩანაწერების ვიზუალური და პერცეფციული კვლევების, ჩანაწერების ავთენტურობის, ფიზიკური პირის ხმისა და მეტყველების მიხედვით იდენტიფიკაციის ძირითად მეთოდებსა და სხვადასახვა ტექნიკურ საშუალებასა თუ პროგრამულ უზრუნველყოფის საშუალებებს, ასევე – კომლექსური ექსპერტიზის დანიშვნისას ვიდეო და ფონოსკოპიური ექსპერტიზის მნიშვნელობასა თუ გადასაწყვეტი საკითხების ფორმულირების ხერხებს. გაიაზრეს როგორი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი შეიძლება იყოს შემთხვევის ადგილზე ან დანაშაულის დაგეგმვა-მომზადების პროცესში ჩაწერილი მასალა და როგორი სახის დანაშაულებების გახსნაა შესაძლებელი (მით უფრო მაშინ, როდესაც ჩანაწერი ერთადერთი მტკიცებულება შეიძლება აღმოჩნდეს საქმეში). გაიმართა დისკუსია ქვეყანაში არსებულ საკანომდებლო გამოწვევებზე, კერძოდ, ფარული ჩანაწერების დამზადება პირადი ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნითა თუ პირადი ცხოვრებისა და სივრცის ხელშეუხებლობის თვალსაზრისით. პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით (თეორიული საკითხების შესაბამისად) მორიგი შეხვედრა გაიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. ექსპერტმა მონაწილეებს ჩაუატარა პრაქტიკული კურსი ვიდეო და ფონოსკოპიურ ექსპერტიზებთან დაკავშირებულ საკითხებზე. მსმენელებს უშუალოდ კომპიუტერული პროგრამებითა და ფოტოილუსტრაციების სახით ჰქონდათ შესაძლებლობა ენახათ, რა სახის ხელშემშლელი ფაქტორები, იმპულსები, წყვეტები, ფალსიფიკაიის კვალი შეიძლება დააფიქსიროს ექსპერტმა ფონოგრამათა კვლევისას, რა სახის სპეცეფექტები შესაძლოა იყოს გამოყენებული ვიდეო- და აუდიოჩანაწერებზე. მსმენელებს შესაძლებლობა ჰქონდათ ვიზუალურად ეხილათ სხვადასხვა პიროვნების მიერ წარმოთქმული ერთი და იმავე სიტყვის ფიზიკური პარამეტრები, კერძოდ, ოსცილოგრამები, წარმოთქმული ფრაზებისა და წინადადებების მელოდიაური კონტურები, ხმის ძირითადი ტონი, ფორმანტთა განლაგება და ა.შ., რომელთა დეტალურად კვლევა საჭიროა დიქტორის ხმის საიდენტიფიკაციოდ.

11. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტმა, ქალბატონმა თამარ გიგოლაშვილმა მონაწილეებს ჩაუატარა თეორიული და პრაქტიკული კურსი დოკუმენტების ტექნიკურ ექსპერტიზებთან დაკავშირებულ საკითხებზე. პირველ ეტაპზე მონაწილეები გაეცნენ დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის კვლევის ობიექტებს, გაიაზრეს სხვადასხვა სახის საბუთებზე არსებული დამცავი ნიშნების გამოვლენის, საიდენტიფიკაციო და დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდები და ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დასასმელი კითხვების ფორმულირების თავისებურებანი. დამატებით, სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია ფულადი კუპიურების, მონეტების, პასპორტების, მართვის მოწმობების, ID ბარათებისა და მკაცრი აღრიცხვის საბუთების სხვადასხვა სახის დამცავი ნიშნებისა და მათი გამოვლენის საშუალებების შესახებ, ასევე კუსტარულად დამზადებული საბუთებისა და ქარხნული წარმოების წესით დაცვით დამზადებული საბუთების გარჩევის მეთოდების თაობაზე. მეორე ეტაპზე შეხვედრა გაიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სადაც ექსპერტმა მონაწილეებს ჩაუატარა პრაქტიკული კურსი დოკუმენტების ტექნიკური გამოკვლევის საკითხებზე. მსმენელებს შესაძლებლობა ჰქონდათ უშუალოდ გასცნობოდნენ ლაბორატორიაში არსებულ თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს და მათი გამოყენებით მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა სახის კვლევების ჩატარების პროცესში.



12. დასასრულს პროექტის ავტორმა, ექსპერტმა მალხაზ ჩიტაიამ მონაწილეებს ჩაუატარა თეორიული და პრაქტიკული კურსი ხელწერის ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. სტუდენტები გაეცნენ ხელწერის ექსპერტიზის კვლევის ობიექტების - ხელნაწერი ტექსტის (მცირე ჩანაწერის), ხელმოწერის (ასოთი, შერეული, შტრიხოვანი) და ციბრობრივი ჩანაწერების მნიშვნელობას. გაეცნენ ინფორმაციას გამოსაკვლევი ობიექტისა და ხელმოწერის (ტრანსკრიფციის გათვალისწინებით) თავისუფალი, პირობითად თავისუფალი ნიმუშების მოპოვებისა და ექსპერიმენტალური ნიმუშების ჩამორთმევის მეთოდების შესახებ. მსმენელებმა გაიაზრეს კვლევის საიდენტიფიკაციო და უჩვეულო ფაქტორის (მიმსგავსების, ავადმყოფობის, მოხუცებულობის ასაკის) არსებობისას ხელწერის ზოგადი და კერძო ნიშნების თავისებურებანი. გარდა ამისა, მონაწილეებმა მიიღეს პრაქტიკული დავალება გამოსაკვლევი ობიექტის მიხედვით კითხვის ზუსტად ფორმულირებისა და შებამისი ნიმუშების მოძიების თაობაზე.

პროექტის ბოლოს ჩატარდა დასკვნითი გამოცდა, რომელიც ითვალისწინებდა პირველი და მეორე ეტაპების მიხედვით შესწავლილი კრიმინალისტიკური ტექნიკის თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების ცოდნას. გამოვლინდა პროექტის გამარჯვებული მონაწილე, რომელიც სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა ირაკლი გაბისონიამ დააჯილდოვა წამახალისებელი პრიზით. ასევე, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ერთობლივი შეთანხმებით პროექტის ყველა მონაწილეს გადაეცათ კურსის გავლის დამადასტურებელი შესაბამისი სერთიფიკატები.